საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030156674706618

№ 01-186/მ **08 / ნოემბერი / 2018 წ.**

მ ა რ ი ნ ა დ ა რ ა ხ ვ ე ლ ი ძ ი ს ა დ ა მ ა ი ა ნ ი კ ო ლ ე ი შ ვ ი ლ ი ს მ ი ვ ლ ი ნ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე და 66-ე მუხლების შესაბამისად, კატარის სახელმწიფოში, ქ. დოჰაში, დაგეგმილ ჯანდაცვის ინოვაციების მსოფლიო სამიტზე (მიწვეულები არიან 100-ზე მეტი ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტროს დელეგაციები, დარგის ექსპერტები და სამედიცინო ინდუსტრიის წარმომადგენლები) დასწრების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2018 წლის 12 ნოემბრიდან 2018 წლის 15 ნოემბრის ჩათვლით, კატარის სახელმწიფოში, ქ. დოჰაში, მივლინებულ იქნენ ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - **მარინა დარახველიძე** და ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და აპარატის საქმისწარმოების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - **მაია ნიკოლეიშვილი**.

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ მგზავრობისა და საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისათვის გაწეულ ხარჯებს აანაზღაურებს მიმწვევი მხარე.

3. დაევალოს ეკონომიკურ დეპარტამენტს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აანაზღაუროს სადღეღამისო ხარჯების ნორმა.

საფუძველი: ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სოფიკო ბელქანიას 2018 წლის 8 ნოემბრის №01-4703/ს მოხსენებითი ბარათი.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დავით სერგეენკო